ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6182991

ნომერი: AR1928734

თარიღი : 14.10.2022

გაცემის თარიღი : 28.10.2022

გაცნობის თარიღი : 28.10.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი მელიქიშვილის ქუჩა, N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ფავლენიშვილი პ/ნ 01020007386
- თბილისი, კ.ქუთათელაძის 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს და იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი :

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება კონდიციონერის აგრეგატის განთავსება იგეგმება #01.19.36.012.034.01.02.101ა კოდით რეგისტრირებულ ფართზე თუ თანასაკუთრებაში არსებულ მიხედვით სადარბაზოს ფართის ფასადზე, ვინაიდან № 5097971 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის მიხედვით +0,07 ნიშნულზე არსებული გეგმის ნახაზის მიხედვით დგინდება, რომ კედელი , რომელზეც იგეგმება აგრეგატის განთაცსება საერთო საკუთრების ფართია (მიუხედავად იმისა რომ საპროექტო ფართის ფასადის არეალი მონიშნულია სადარბაზოს ფართთან ერთად) .
აღნიშნულის გარკვევის მიზნით საჭიროა წარმოდგენილი იქბას სართულებრივი გეგმა , რომელზეც მოინიშნება საპროექტო ფართის ფასადი.
გაითვალისწინეთ:

დამკვეთის თანხმობა წარმოდგენილია რუკაზე მონიშნულ ფართზე კონდიციონერის მოწყობაზე, იმ შემთხვევაში თუ საერთო სარგებლობაში არსებულ ნაწილზეა დაგეგმილი სამუშაოები. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ფართი სწორად გამოვიკვლიეთ და თანასაკუთრებაღი არსებული ფართის კედელია ასეთ შემთხვევაში საჭიროა აღნიშნულზე წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, საერთო სარგებლობაში არსებულ ფართზე და არა 01.19.36.012.034.01.02.101ა კოდით რეგისტრირებულ ფართზე კონდიციონერის მოწყობის შესაძლებლობაზე

-დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.